№ 001833/31

15/03/2022

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრის
განუხილველად დატოვების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ - პრეზიდიუმი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი – გენერალური აუდიტორი;
2. ეკატერინე ღაზაძე – გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. დავით გოგიჩაიშვილი – გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. სოფიო დვალიშვილი – თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. ზაზა შეყილაძე – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. გიორგი კეკელიშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. ნოე ქაშიბაძე – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
8. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. კახაბერ კირტავა – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
10. თორნიკე შერმადინი – ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
11. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
13. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
14. ზაზა გელაშვილი – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია.

დავის საგანი:
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 28 იანვარს დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის N4/36 აუდიტის ანგარიში“.

I
აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2022 წლის 25 თებერვალს საჩივრით (N48-4822055117; 24.02.2022; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N1327/01) მიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის 2022 წლის 28 იანვრის N4/36 აუდიტის ანგარიშის“ თაობაზე.
პრეზიდიუმის 2022 წლის 01 მარტის N001480/30 სხდომის საოქმო ჩანაწერის შესაბამისად, საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადის ნაწილში და მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა, პრეზიდიუმის მიერ მოსაზრებების წარმოსადგენად განსაზღვრულ ვადაში, წარმოადგინა თავისი წერილობითი პოზიცია (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N1775/01; 11.03.2022) აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადის გაშვებასთან დაკავშირებით.

II
სამოტივაციო ნაწილი:

პრეზიდიუმი, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ განუხილველად უნდა დარჩეს წყალტუბის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 25 თებერვლის საჩივარი (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N1327/01), შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აუდიტის ობიექტები უფლებამოსილი არიან, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივარი წარმოადგინა მიმდინარე წლის 25 თებერვალს. უწყებათაშორისი დოკუმენტბრუნვის სისტემის – Interflow-ს მონაცემებით, აუდიტის ობიექტს აუდიტის ანგარიში ჩაბარდა 2022 წლის პირველ თებერვალს.
პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის მიერ გაშვებულია აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. კერძოდ, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადა იწურებოდა მიმდინარე წლის 21 თებერვალს, საჩივარი კი წარმოდგენილია მიმდინარე წლის 25 თებერვალს.
პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და ა(ა)იპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წერილი COVID-19-ით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 59 თანამშრომლის ინფიცირების შესახებ ვერ ქმნის იმ გარემოების მტკიცების საფუძველს, რომ ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით. კერძოდ:
წარმოდგენილი მტკიცებულების თანახმად, 01.02.2022 – 20.02.2022 პერიოდში COVID-19-ით ინფიცირებული იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 59 თანამშრომელი, თუმცა დოკუმენტურად არ არის დადასტურებული, რომ აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივრის მომზადება ან/და მისი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარდგენა აღნიშნული თანამშრომლების უშუალო კომპეტენციას მიეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 8[3] მუხლი ს თანახმად, COVID-19-ით დაავადებული პირის შრომისუუნარობა გრძელდება 7/8 კალენდარული დღე.[1] შესაბამისად, დაუსაბუთებელია 01.02.2022 – 20.02.2022 პერიოდში COVID-19-ით ინფიცირების მიზეზით სამსახურის საქმიანობის ფაქტობრივად შეჩერება.
ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ეხება 01.02.2022 – 20.02.2022 პერიოდს, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საჩივრის წარდგენის ვადა იწურებოდა 2022 წლის 21 თებერვალს. შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა, მიმდინარე წლის 21 თებერვალს მოემართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წერილობით დასაბუთებული საჩივრის წარმოსადგენად დამატებითი ვადის განსაზღვრის თაობაზე.
საჩივრის ავტორის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება აუდიტის ანგარიშის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მისი გასაჩივრების სირთულეს, პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ აუდიტის ობიექტი გაცნობილი იყო აუდიტის ანგარიშის პროექტს, რომელთან დაკავშირებითაც წარმოადგინა შენიშვნები და მოსაზრებები (N48/4822021143; 21.01.2022), მათ შორის, იმ საკითხებზე, რომლებიც მითითებულია 2022 წლის 25 თებერვლის N1327/01 საჩივარში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ აშკარაა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

III
სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლით, 27-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით,

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 25 თებერვლის საჩივარი (N48-4822055117; 24.02.2022; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი N1327/01) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 28 იანვარს დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის N4/36 აუდიტის ანგარიშის“ თაობაზე, დარჩეს განუხილველი.
2. გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

---

[1] წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 8[3] მუხლის მოქმედება ვრცელდება 2022 წლის 15 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და გრძელდება 2022 წლის 1 მაისამდე.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

ეკატერინე ღაზაძე
გენერალური აუდიტორის მოადგილე

დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოადგილე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დვალიშვილი სოფიო

ზაზა შეყილაძე
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

კახაბერ კირტავა
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე

თორნიკე შერმადინი
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე გოგოლაშვილი
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი გაჩეჩილაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების
ადმინისტრირების დეპარტამენტის
უფროსი

ნატო ზაალიშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი